ABOUT HIV

სხვებისთვის აივ-სტატუსის გამხელა

თუ თქვენ ახლახან შეიტყვეთ, რომ აივი გაქვთ, თქვენ შესაძლოა აღელვებული და დაბნეული ხართ. თქვენ ალბათ მოგინდებათ თქვენი მდგომარეობის შესახებ სხვებთან საუბარი. თუმცა, სჯობს ამის შესახებ ბევრ ადამიანს არ მოუყვეთ, მანამ სანამ თავად არ შეეგუებით თქვენს დიაგნოზს.

გარდა ამისა, თქვენ შეგიძლიათ თქვენი სტატუსის მოგვიანებით გამხელა, მაგრამ ვერასდროს შეძლებთ ნათქვამი სიტყვის დაბრუნებას.

მეორე მხრივ, სათანადო ადამიანისათვის ამ ამბავის გაზიარება, შეიძლება სასარგებლოც იყოს. შედეგად თქვენ შეიძლება მიიღოთ დახმარება, მაშინ როდესაც იგი ყველაზე მეტად გჭირდებათ, ეს ზოგჯერ ურთიერთობების გამყარებასაც უწყობს ხელს.

როგორი რეაგირება ექნებათ მათ?

თითოეულ შემთხვევაში, დაფიქრდით თუ რისი მიღწევა გსურთ, მანამ სანამ ვინმეს ამ ამბავს გაუზიარებთ. დაფიქრდით, როგორ აღიქვამენ ისინი ნათქვამს. წარმოიდგინეთ მათი მხრიდან რეაგირების საუკეთესო და ყველაზე უარესი ვარიანტები.

თქვენ ალბათ ასევე მოისურვებთ, რომ დაფიქრდეთ სად და როდის წამოიწყებთ ამაზე საუბარს და დარწმუნდით, რომ მოუყვებით მხოლოდ მათ, ვინც გჯერათ, რომ არ გაუზიარებს სხვას თქვენს ისტორიას.

თუ ნათქვამი გაქვთ ვინმესთვის, რომ აპირებთ აივ-ტესტირების ჩატარებას, მოიფიქრეთ თუ რას უპასუხებთ მათ შეკითხვებზე.



ოჯახისათვის და მეგობრებისათვის გამხელა

ეტყვით თუ არა ოჯახს და მეგობრებს დამოკიდებულია იმაზე თუ რა ურთიერთობა გაქვთ მათთან. თუ არ საუბრობთ მათთან პირად საკითხებზე, მოინდომებთ კი, რომ ახლა დაელაპარაკოთ მათ?

მაგრამ, შესაძლოა არსებობს თქვენს ცხოვრებაში ადამიანი, რომელთანაც ახლო ხართ და ვინ ადრეც დაგხმარებიათ. არის თქვენს ცხოვრებაში მშვიდი, მყარი, სანდო ადამიანი, ვისაც ამ ვითარებაში შეგიძლიათ მიმართოთ?

ზოგადად, ადამიანების რეაგირება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა იციან, ან გონიათ, რომ იციან თემის გარშემო. არსებობს აივ-თან ასოცირებული ბევრი შიში და მითი. არ არის გამორიცხული, რომ ზოგი იმ ადამიანებისგან, ვისაც გაუმხელთ თქვენს აივ-სტატუსს მტრულად და არაკეთილმოსურნედ განეწყოს თქვენს მიმართ.

ზოგჯერ, ადამიანები არ ფლობენ საკმარის ინფორმაციას აივ-ის შესახებ ან შესაძლოა მათ მრავალი შეკითხვა გაუჩნდეთ. სხვების დასარწმუნებლად, ალბათ კარგი იქნება თუ თქვენ თან იქონიებთ აივ-ის შესახებ საინფორმაციო მასალას.

ზოგმა კი შესაძლოა ისეთი გაგებით მიიღოს თქენი ამბავი, რომ გაოცებულიც დარჩებით.

თქვენი ამჟამინდელი პარტნიორისათვის გამხელა

თუ თქვენ მოცემულ ეტაპზე ურთიერთობაში იმყოფებით, თქვენი პარტნიორისათვის ამ ამბავის გაზიარება შესაძლოა გახდეს მხარდაჭერის მიღების კრიტიკული წყარო.

მეორე მხრივ, ორივე თქვენგანი შესაძლოა რთულ სიტუაციაში აღმოჩნდეთ. ალბათ თქვენც და თქვენს პარტნიორსაც დაგჭირდებათ გარკვეული დრო ახალ რეალობასთან შესაგუებლად.

შეიძლება წარმოიშვას შეშფოთება იმის თაობაზე, ხომ არ გადაეცით უკვე თქვენს პარტნიორს ვირუსი ან თუ არის შესაძლებელი, რომ ეს მომავალში მოხდეს. თუმცა, თანაბარია ალბათობა იმისა, რომ თქვენ თქვენი პარტნიორისგან დაინფიცირდით. მნიშვნელოვანია, რომ

www.pro-vich.info და www.about-HIV.info შემუშავება შესაძლებელი გახდა იანსენისგან (Janssen) მიღებული გულუხვი დახმარების წყალობით. დამფინანსებელს აღარ განუხორციელებია კონტროლი საიტების შინაარსზე. ამ საიტზე მოცემული ინფორმაცია გამიზნულია სამედიცინო მუშაკისგან მიღებული კონსულტაციის მხარდაჭერისათვის და არა მისი ჩანაცვლებისათვის. გაესაუბრეთ თქვენს ექიმს ან სამედიცინო გუნდის რომელიმე წევრს მოცემული ინფორმაციის თქვენს კონკრეტულ შემთხვევასთან მისადაგების მიზნით.
თანამშრომლობა: NAM aidsmap, European AIDS Treatment Group, Aids Action Europe, East Europe & Central Asia Union of PLWH and ITPCru-ს (The Treatment Preparedness Coalition) შორის.

მეტი ინფორმაციისათვს ეწვიეთ: www.about-hiv.info; www.pro-vich.info; www.aidsmap.com
UK Charity რეგისტრაციის ნომერი: 1011220

ABOUT HIV

სხვებისთვის აივ-სტატუსის გამხელა

თქვენმა პარტნიორმა დაუყოვნებლივ გაიაროს აივ-ზე ტესტირება. ამაში თქვენ შეიძლება თქვენი აივ-კლინიკის თანამშრომლები დაგეხმარონ.

ზოგი კი შესაძლოა განსაკუთრებულად რთულ სიტუაციაში აღმოჩნდეს. ეს ის შემთხვევებია, როდესაც თქვენ ფინანსურად ხართ დამოკიდებული თქვენს პარტნიორზე ან გაქვთ ძალადობის შიში.

თქვენ შეიძლება დახმარება დაგჭირდეთ ამ საკითხების გასააზრებლად, რაც უნდა იყოს ხელმისაწვდომი თქვენი აივ-კლინიკის ადგილობრივი მხარდამჭერი ჯგუფის მეშვეობით.

ახალი პარტნიორისათვის თქმა

სექსუალური პარტნიორისათვის ან პოტენციური პარტნიორისათვის აივ-სტატუსის გამხელა შესაძლოა შიშის მომგვრელი იყოს. ამ დროს თქვენ შესაძლოა გაგიჩნდეთ გარიყვის შიში.

აივ-სტატუსის ღიად გაზიარება ნიშნავს, რომ თქვენ ერთობლივად იზრუნებთ აივ-ის გადაცემის რისკის შემცირებაზე. მაგრამ, იმ შემთხვევაში თუ თქვენ აპირებთ ისეთი სექსუალური კონტაქტის დამყარებას, რომელიც არ შეიცავს ინფექციის გადაცემის არანაირ რისკს, თქვენ შესაძლოა არ ჩათვალოთ საჭიროდ უთხრათ სტატუსის შესახებ თქვენს პარტნიორებს.

აუცილებელია, რომ დაფიქრდეთ კანონმდებლობის შესახებ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არსებობს აივ-ის გადაცემის რისკი.

მნიშვენოლოვანი შეიძლება სათანადო დროის განსაზღვრაც იყოს. შეიძლება რთული იყოს შეხვედრის თანავე თქვენს სტატუსზე საუბარი, თუმცა ამის გადადებამ შესაძლოა სამომავლოდ პრობლემები გამოიწვიოს. ზოგისთვის ამის გაკეთება უფრო მარტივია პირველადი კონტაქტებისას ინტერნეტის მეშვეობით, ვიდრე პირისპირ საუბრისას.

თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ თქვენი აივ-კლინიკის ადგილობრივი მხარდამჭერი ჯგუფის რჩევა.

სამსახური და მოგზაურობა

როგორც წესი, არ არის აუცილებელი თქვენმა დამქირავებელმა იცოდეს თქვენი აივ-სტატუსის შესახებ, რადგანც აივი იშვიათად თუ ახდენს ზემოქმედებას ადამიანის შრომისუნარიანობაზე.

თუ თვენ წუხართ მითქმა-მოთქმის გამო, შესაძლოა თქვენთვის უკეთესი არჩევანი იყოს სტატუსის არგამჟღავნება. მეორე მხრივ, უფრო მარტივია გაეთავისუფლოთ სამსახურიდან ექიმთან ვიზიტებისათვის ან შეუძლოდ ყოფნისას, იმ შემთხვევაში თუ თქვენმა დამქირავებელმა იცის, რომ თქვენ აივ-ინფიცირებული ხართ.

აივ-ის მქონე პირებს შეუძლიათ მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში გამგზავრება. თუმცა ზოგ ქვეყნებში არსებობს შეზღუდვები, რაც ყველაზე ხშირ შემთხვევებში სამსახურის მაძიებლებს და სავიზო აპლიკანტებს ეხებათ. ისევე როგორც, შუა აღმოსავლეთის ბევრ ქვეყნებში, მათ შორის რუსეთსა და ავსტრალიაში.

www.pro-vich.info და www.about-HIV.info შემუშავება შესაძლებელი გახდა იანსენისგან (Janssen) მიღებული გულუხვი დახმარების წყალობით. დამფინანსებელს აღარ განუხორციელებია კონტროლი საიტების შინაარსზე. ამ საიტზე მოცემული ინფორმაცია გამიზნულია სამედიცინო მუშაკისგან მიღებული კონსულტაციის მხარდაჭერისათვის და არა მისი ჩანაცვლებისათვის. გაესაუბრეთ თქვენს ექიმს ან სამედიცინო გუნდის რომელიმე წევრს მოცემული ინფორმაციის თქვენს კონკრეტულ შემთხვევასთან მისადაგების მიზნით.
თანამშრომლობა: NAM aidsmap, European AIDS Treatment Group, Aids Action Europe, East Europe & Central Asia Union of PLWH and ITPCru-ს (The Treatment Preparedness Coalition) შორის.

მეტი ინფორმაციისათვს ეწვიეთ: www.about-hiv.info; www.pro-vich.info; www.aidsmap.com
UK Charity რეგისტრაციის ნომერი: 1011220